



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-87.87230952  
თარიღი:05/04/2023

**განკარგულება №15**

**„ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდებარე უსახელო ქუჩებისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №35 განკარგულებაში დამატებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდებარე უსახელო ქუჩებისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №35 განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.1 და 1.2 პუნქტები:

„1.1 ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ყოფილი №1 ქუჩის:

- ა) I შესახვევს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის I შესახვევი“;
- ბ) III ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის I ჩიხი“;
- გ) II ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის II ჩიხი“;
- დ) I ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის III ჩიხი“.

1.2 ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ყოფილი №41 ქუჩის:

- ა) I შესახვევს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის II შესახვევი“;
- ბ) I ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის IV ჩიხი“;
- გ) II შესახვევს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის III შესახვევი“;
- დ) II ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის V ჩიხი“;
- ე) III შესახვევს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის IV შესახვევი“;
- ვ) IV ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის VI ჩიხი“;
- ზ) III ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის VII ჩიხი“;
- თ) V ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის VIII ჩიხი“;
- ი) VI ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის IX ჩიხი“;

- კ) VII ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის X ჩიხი“;
- ლ) VIII ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის XI ჩიხი“;
- მ) IV შესახვევს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის V შესახვევი“;
- ნ) V შესახვევს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის VI შესახვევი“;
- ო) IX ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის XII ჩიხი“;
- პ) X ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის XIII ჩიხი“;
- ჟ) XI ჩიხს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის XIV ჩიხი“;
- რ) VI შესახვევს ეწოდოს „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩის VII შესახვევი“.

2. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

3. განკარგულება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება ასევე გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას და საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე [akhmeta.gov.ge](http://akhmeta.gov.ge).

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს კონკრეტული ღონისძიებების გატარება (აბრების და ფირნიშების დამზადება).

6. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

